

ივერია

გაზეთის ღირსე:

12.	10	6	6
11.	9 50	5	5 50
10.	8 75	4	4 75
9.	8	3	3 50
8.	7 25	2	2 75
7.	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

მიხეილ თომას კი ზუბალაშვილი, გულითადის მწუხარებით აუწყებს რა ნათესაგან და ნაცნობთ გარდაცვალებასა ძვირფასისა და საყვარელის თვისის დედისას

კონსტანტინა ნესტონის ასულის ზუბალაშვილისას, რომელიც გარდაიცვალა ქალ. ქუთაისს, სთხოვს მობრძანდნენ პანაშვიდზე დასასწრებლად ქალ. ქუთაისშივე 21 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე. მიცვალებულს გაასვენებენ ორშაბათს, 22 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, საკუთარის სახლიდან. (1-225-1)

ქართული თეატრი

კვირას, 21 ოქტომბერს 1901 წ. ქართულის დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

უსოლოთა კლუბი

კომ. კ მოქმედებად თხზ. ბალუცკისა, თარგ. დ. მესხისა.

კუნძუნი

კომ. 2 მოქმედებად, გ. ერისთავისა.

მანაწილეობას იღებენ: ქ ნინო ჩერქეზიშვილი, კარგარელი, მდივანი, აფხაზი-მგელი და გივიშვილი; ბ-ნინი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, აწყურელი, გვდევანოვი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა 25 ოქტომბერს; მზადდება „ვენეციელი ვაჭარი“ კომ. შექსპირისა. (3-5.-2)

პირველი კერძო სამკურნალო

აიმიის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ქუჩის პირდაპირ) ავიათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს.

საღმრთაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

შ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ.

სნეულეზანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანანიანი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. შამლიშვილი. 12—1 საათ. კურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ვ. პარაპტიანი. 1—1 1/2 ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომიანი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაპოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და

ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7 1/2 ს. ბ. ა. ნავასარდიანი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაეს“, აუტრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნებით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ღირებულო სამკურნალო დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. Первая частная лечебница—д-ра Навасардиана. Тифлис, противъ памят. Воронцову.

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოს: 1) მანქანების გამოკვლევა: ნავისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა; 2) წყლის გამოყენების სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზის სადავო საქმეებში; 4) პლანეტის გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეებს.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე 4—6 საათ. ადრესი: Георгиевская площадь № 32.

(8-5.-7)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასო).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ავიათმყოფისა, № 21 (ვორონცოვის ქუჩის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ბ. ი. შიშინაძე—კბილის სნეულეზანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

პ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაკან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელი-სა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულეზანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

შედეგები

უსოლოთა ზორის.

ქალთა მოძრაობა ბოლგარიაში. — სამხრეთ აფრიკის ომი და ოლივ შრენინგერი.—ინგლისის ახალი ბელეტრისტიკა.— „Comédie Française“ და არტისტების უფლებების შეზღუდვა.—დეული გერმანიაში და იმის წინააღმდეგ მებრძოლთა კონგრესი.—ბრძოლა ქალაქსა და სოფელს შორის.

განათლება ჩქარის ნაბიჯით პატარა და ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის ყველაზედ გვიან—განათლების უფლებულ ბოლგარიაში (კვრცელდება). ის გარემოება, რომ ბოლგარიაში დღეს ისევე, როგორც ევროპის სხვა უფრო კულტურულ სახელმწიფოში, ქალი სინათლისა და სწავლისათვის მისწრაფება, სკდლიობს თანასწორ უფლებათა მოპოვებას და სახელმწიფო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაფერ ადგილის დაქვრას, საუკეთესო მაჩვენებელია ამ სახელმწიფოს წარმატებისა და წინსვლულობისა. საყურადღებოა ეს მით უფრო, რომ ბოლგარია თითქმის გუშინ განათლების უფლდა ოსმალეთის მონობისაგან, რომ ამ მონობის დროს ქალი ისევე კარჩავეტილი სცხოვრობდა და საზოგადოდ სეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორშიც დღეს მაჰმადიანთა ქალენი არიან.

ჯერ ისევ განათების უფლებამდე

მე 70 წლებში, ბოლგარიის ეკლესიის დამოუკიდებლად ცნობის შემდეგ, ბევრს ქალაქში არსებობდა ქალთა საზოგადოებანი, რომელთა საგანსაც ქალთა შორის სწავლავანათლების გავრცელება და ქველმოქმედება შეადგენდა, საზოგადოებანი აარსებდნენ სამკითხველოებს, ჰმართავდნენ კითხვებს და სხვა. შემოსავლის ნაწილს ღარიბებსა და სასწავლებლებს ახმარებდნენ. ბევრგან სკოლებიც დააარსეს ქალთათვის. განათების უფლებამ კოტა არ იყოს შეაჩერა ქალთა თვითმოქმედება, რადგანაც თვით ახლად შემდგარი სახელმწიფო ზრუნავდა მოზარდ თაობის განათლებისათვის. იგი ერთნაირის გულ-მოადგენობით აარსებდა სკოლებს როგორც ვაჟთა, ისე ქალთათვის. მალე პროგრესიზმის და გიმნაზიებიც გამართა. სწავლა გათავებულ ვაჟებსა და ქალებს მასწავლებლობის ერთნაირი უფლება ჰქონდათ მინიჭებული.

პირველად სახელმწიფო უსამართლოდ ქალებს 1889 წელს მოექცა, როდესაც სოფიაში უნივერსიტეტი დააარსა და ქალებს-კი აუტრძალა იქ შესვლა. არ გასულა დიდი დრო, რომ კანონმა მასწავლებელ ქალთა ჯამაგირიც შეამცირა 10%/-ით მამაკაცთა ჯამაგირთან შედარებით. სამის წლის წინად გამოვიდა ახალი კანონი, რომლითაც გათხოვილ ქალებს მასწავლებლობა აღეკრძალათ. ყველა ამან, რასაკვირველია, უკმაყოფილება გამოიწვია. პირველად ხმა მასწავლებელმა ქალებმა აღი-

მალეს, მალე მათ ქალთა საზოგადოებებმაც დაუჭირეს მხარი. ქალებმა ზედი-ზედ საერო კრებას რამდენიმე პეტიცია გადასცეს, რომელშიც უნივერსიტეტში შესვლის უფლება და ჯამაგირის მომატება მოითხოვეს. როდესაც კრებამ ამ პეტაციებს ყურადღება არ მიაქცია, ბოლგარელმა ქალებმა გაერთიანება და საერთო ძალით ბრძოლა განიზარახეს. ამ აზრით ქალთა შორის სწავლავანათლების გამავრცელებელმა სოფიის საზოგადოებამ მიაწოდებანი დაუზავანა სხვა ასეთსავე საზოგადოებებს. შარშან კრება ჰქონდათ წარმომადგენელთ. ამ კრებაზედ შემოუშვეს პროექტი-წესდება და ახალი პეტიცია, რომელიც წინანდელ თხოვნათა გარდა, შეიცავდა ახალსაც; იგი ქალაქის საბჭოებში არჩევის უფლებას თხოულობდა. მეცადინეობას საკეთილო შედეგი მოჰყვა: საერო კრებამ გადასწყვიტა წლებადილდგან მიიღოს ქალები უნივერსიტეტში, ქალაქის საბჭოებში არჩევნების უფლებანი მინიჭოს მათ და გაათანაოსწოროს მასწავლებელ კაცთა და ქალთა ჯამაგირი.

ამით გამხნეებულმა ქალებმა წელს კონგრესი მოახდინეს, რომელზედაც საბოლოოდ შემუშავებულ იქნა წესდება „ქალთა საზოგადოების კავშირისა“. საგნად კავშირს განათლების გავრცელება, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება, სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებათა მოპოვება აქვს. დღეს

კავშირში 42 ქალთა საზოგადოება ითვლება. კავშირს საკუთარი გაზეთიცა აქვს—„ხმა ქალისა“.

დღევანდელმა ცხოვრებამ არა ერთი და ორი სულით მაღალი, ჰკუთხ სრული და ხასიათით მტკიცე ქალი გამოიყვანა სამოქმედო ასპარეზზედ. ასეთ ქალთა რიცხვს, ეკვი არ არის, ნიჭიერი მწერალი-ქალი ოლივ შრენინგიც ეკუთვნის. ამ ეხმად ეს ქალი ინგლისელებსა ჰყავთ დაპატიმრებული სამხრეთ-აფრიკაში. როგორც ინგლისურივე გაზეთი „Daily News“-ი იუწყება, შრენინგს მეტად სასტიკად მოექცნენ თურმე; ნება არ მისცეს ქმარს გამოსთხოვებოდა, დაუწვეს ხელთნაწერები, ღამე სანთელსაც კი არ აძლევდნენ... აი, ასე ექცეოდნენ ინგლისელები შრენინგს მარტო იმისთვის, რომ იგი სიმართლეს გამოეცხარა.

სამშობლოში, სამხრეთ-აფრიკაში, შრენინგს დიდი სახელი აქვს გავრდილი. კაპის ახალშენსა და სამხრეთ-აფრიკის სხვა ადგილას ვერა ჰნახავთ ისეთ სახლს, სადაც ოლივ შრენინგის თხზულებანი არ მოიპოვებოდეს. ეს მწერალი ქალი ერთად-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია ახლად ფეხ-ადგმულ სამხრეთ-აფრიკის ლიტერატურისა.

ოლივ შრენინგმა ხმა ჯერ ისევ ამის დაწყებამდე აღიმაღლა, მაშინ, როდესაც ინგლისელებისა და ბუერების საქმე გამწვავდა. იგი ურჩევდა ინგლისს მოპირდებოდა მათა

ომს, მაგრამ იმისი რჩევა „ხმად მლაღდებლისად“ დარჩა. ომის დაწყების შემდეგაც არ გაჩუმდა შრენინგი. მახვილის კალმით იგი ჰკიცხავდა ინგლისელთა გაუმადლობას და ანგარებას, ხოლო ბუერებს თვალს უხეზდა და გულითა და სულით თანაუგრძობდა.

მამა შრენინგისა ნემეცი იყო, დედა—შოტლანდიელი. უფროსი ძმა ერთხანად კაპის ახალშენის მინისტრ-პრეზიდენტად იყო, მეორე ძმა დღესაც მღვდლადაა ლონდონში. შრენინგი სამხრეთ აფრიკაში გაიზარდა, სადაც იმისი მამა მისი-ონერად იყო. წერას ოლივი ახალგაზრდობისასვე შეუდგა; სწერდა ლექსებს და პატარ-პატარა ამბებს. თავისი პირველი რომანი „ერთი აფრიკანული ფერმის ამბავი“ შრენინგმა მაშინ დასწერა, როდესაც 20 წლისა იყო. ხელთ-ნაწერით ჯიბეში ახალგაზრდა შრენინგი ინგლისს გაემართა და იქ დაბეჭდა თავისი რომანი. ლიტერატურულ მოღვაწეობას ოლივ შრენინგი ყოველთვის მალა აყენებდა. იმისთვის ლიტერატურა წმიდათა-წმიდაა, რომელსაც კაცი მოწიწებით უნდა ემსახურებოდეს. გულწრფელი, სიმართლის მოყვარული, ჩაგრულთა მოსარჩლე შრენინგი, რასაკვირველია, ბუერების მხარეს დაიქვრდა. „თუნდაც მამაკაცები სულ ერთიან ამოსწყვიტოთ, ეუბნებოდა იგი თავის პუბლიცისტურ ნაწერებში ინგლისელებს, დედაკაცები მაინც დარჩებიან. ისინი აღზრდიან ახალ

მედიკალი მ. ს. ბაქრაძე ბავ-
შეებისა—11—12 ს.

დ. ა. გელაშვილი—ნერ-
ვებისა და შინაგანი. 12—1 სათ.

ბ. ბ. ბარსუკი — დედათა
სწავლებელი, ორშაბათობით, ოთხ-
შაბათობით და პარასკეობით 12—
1 სათ.

ს. ა. შოიშოვი—ხირურგიული (სა-
დოქტორო) ხუთშაბათობითა და
შაბათობით—1—2 სათ.

ი. ლ. გვამათაძე—სიფილისი-
სა, კანისა და საშარდესი, 1 1/2—2 ს.

ს ა ლ ა მ ო თ ი:

ი. გ. თუშანიშვილი—დედათა
სწავლებელი. 5—6 სათ.

კ ვ ი რ ა ო ლ ი თ ი:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—
12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთხ-
ხები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ.
ოპერაციები და კრაოტები—მორი-
გებით.

მ ა უ რ ა ლ ი

მიხაილ გელაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—
12—1, საღამოთი 6—7. ყორღა-
ნოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტე-
ლეფ. 791. (6.)

ახალი ამბავი

* დღეს, 20 ოქტომბერს, დღითვე
განსვენებული ხელმწიფე იმპე-
რატორის ალექსანდრე III გარდა-
ცვალების დღეს, საქართველოს ექ-
სარხოსის კარის ეკლესიაში გარ-
დახდილ იქმნება მოსახსენებელი

თაობას, რომელიც სიმამაცითა და
მხნეობით ძველს გადააჭარბებს. შვი-
ლის-შვილები წინაპართა საფლავე-
ბის წინ გავლის დროს იტყვიან:
„აქა მარხიან ჩვენი წინაპარნი, თა-
ვისუფლებსათვის ომში დაღუპულ-
ნიო“. ამ დაღუპულ გმირთა შთა-
მოძავალნი შეჭმნიან ახალ ერს,
ძლიერ ერს. აღარ იქმნებიან აღარც
ინგლისელნი და აღარც პოლანდი-
ელნი“.

ინგლისელები შრეინერს ბრალად
იმასა სდებენ, რომ ბურებს ომისა-
თვის აქეზებდაო. უთუოდ ეს ბრალ-
დება ჰქონდათ საბაზად ინგლისის ჯა-
რის უფროსებს, როდესაც მწერა-
ლი ქალი დააპატიმრეს და საპრო-
ბილეში ჩასვეს.

როგორც ვთქვით, შრეინერი
დღეს უკვე სახელ-განთქმული მწე-
რალია მარტო აფრიკაში-კი არა,
ევროპასა და ამერიკაშიაც. იმისი
თხზულებები ნემეცურს, ფრანგულ-
სა და რუსულს ენებზეა გადათარ-
გმნილი. ინგლისელებს იმ თავითვე
არ უყვართ შრეინერი, რადგანაც
ეს მწერალი პირში თქმას არ ერი-
დება და ინგლისელთა ნაკლებე-
ნებას ხელს არ აფარეს.

ესეც არ იყოს, ინგლისელნი კა-
რგა ხანია გადაიჭვივნენ ისეთ ნა-
წერების კითხვას, სადაც პირველი
ადილი რევოლუცია, მკვლელობა-
სა, მოტაცებას, საიდუმლო კომ-
კებსა და იქ მცხოვრებ გრძელ-
სულებს არა აქვთ დათმობილი. ამას
წინად ინგლისის საღრამო ხელო-

წირვა და პანაშვილი. წირვა დილის
10 საათზედ დაიწყო. სამხედრო-
თათვის ტანისამოსი ჩველებრივი,
მარცხენა მკლავზედ სამგლოვიარო
ძაძა უნდა ჰქონდეთ, გენერლები
ლენტებით იქმნებიან.

* როგორც სატახტო ქალაქის
გაზეთები იწერებიან, ქალაქის ოთხ-
კლასიან და პირველ დასაწყისს სა-
სწავლებლების პროგრამაში ცვლი-
ლების შეტანა განუზრახავთ. უნდათ
თურმე ქალაქის სასწავლებლებში
ახალი ენების სწავლება შემოიღონ
და ხატვისა, ხაზვისა და საბუნების-
მეტყველო საგნების გაკვეთილების
რიცხვს მოუმატონ. რაც შეეხება სა-
მინისტროს პირველდასაწყისს სკო-
ლებს, აქ უმთავრეს საგნად ჩამულის
შესწავლა იქმნება და გაძლიერებულ-
ი იქმნება პროგრამაში ანგარიშისა
და კურსი საღმრთო სჯულისაო. ამ
აზრით მომავლის წლისათვის
საერო სასწავლებლების დირექტო-
რებისა და ინსპექტორების საგანგე-
ბო კრება იქმნება მიწვეულიო.

* როგორც სატახტო ქალაქის
გაზეთები იწერებიან, გარდაწყვეტი-
ლია თურმე ქალაქის სასწავლებლე-
ბის უფროსს კლასებში გიგიენის
სწავლება შემოიღონ.

* ლაპარაკია აღძრული, რომ
საკომერციო სასწავლებლებში თავი-
სუფალს ყურისმგებლებს შესვლის
ნება მიეცეთ.

* ამიერ-კავკასიის რკინის გზამ
ბრძანება მიიღო, რომ სულით ავად-
მყოფნი, კეთროვანნი და ცოფიანები
შედავითანი ტარიფით უნდა იქმნენ
ხოლომე გადაყვანილ-გადმოყვანილ-
ნი.

* რადგანაც საცხოვრებელ ბი-
ნებზედ შეწერილი სახელმწიფო გარ-

ნების დაცემის შესახებ ვწერდით.
დრამისთან ერთად რომანი და მო-
თხრობაც დაეცა. ინგლისის ახალი
მწერალნი—ა. გობი, რ. გაგარტი,
მ. კარელი, რ. მარში, კონან-დოი-
ლი, ხორნუნგი და სხვანი, იშვი-
თად ეხებიან რეალურ ცხოვრებას;
იმათ ნაწერების საგანს უმთავრესად
სახიფათო, არა ჩვეულებრივი მგზა-
ვრობანი, ლომებთან და ვეფხვებთან
ბრძოლანი, ან კიდევ ფანტასტიური
მოვლენანი შეადგენენ. სათაურები-
დგანვე მიხვდებით ამას: „შვიდის
მეფის მეგობრობა“, „საიდუმლო
მძებნელის თავგადასავალი“, „ქურ-
დობის მოყვარული“ და სხვა.

„ქურდობის მოყვარული“ ხორ-
ნუნგის რომანია. მთლად ეს რომა-
ნი ქურდობის გასაოცარ ამბებითაა
სავსე. უფრო საოცარია გაგარდის
ერთი რომანი, რომლის გმირადაც
ავტორს აფრიკის მთებში დაკარგულ
ხალხის საიდუმლო დედოფალი გა-
მოაჩვენა. ამ დედოფალმა სიკვდილი
არ უწყის რა არის. იგი 2 1/2 ათას
წელიწადს სკოცხლობს, ასე რომ
მათუსალი იმასთან შედარებით ძუ-
ძუთა ბავშვად ძლივს გამოჩნდება.
უკვდავი დედოფალი ცეცხლის წყა-
როში ბანაობს. ყოველივე ეს სამის
ინგლისელის თვალ წინა ხდება.
დედოფალი ბოლოს ერთს ამითგანს
იყვარებს კიდევ. შესანიშნავია აგ-
რეთვე მარშის რომანიც „The
Beetle“. რა გნებავს, სულა და
გულა, ამ რომანში არ მოიპოვე-
ბოდეს! რომანის ერთ თავში, რომ-
ლის მოქმედებაც ჩვენ დროსა ხდ-

დასახადი ქალაქის მცხოვრებთა უმე-
ტრობას ჯერ კიდევ არ წარუდგე-
ნია, ამისათვის სახაზიო პალატას
გარდაუწყვეტია გარდასახადის ასა-
ლებად პოლიციის მიმართოს.

* გამოცხადებულია ახალი დროე-
ბითი შეთანხმება იმის შესახებ, თუ
კავკასიის რკინის გზამა და ამიერ-
კავკასიისამ ერთმანერთს რა წესით
უნდა გადასცენ ხოლომე სამგზავრო
მატარებლები, დატვირთული ვაგო-
ნები, ცისტერნები და სხ. ბალი-
ჯარის სადგურზედ.

* განზრახვა აქვთ პეტერბურგ-
ში სრულიად რუსეთის ღორების
მომშენებელთა კრება მოახდინონ ღ
ამ კრებაზედ გარდასწყვიტონ, თუ
ტრინინის წინააღმდეგ საბრძოლად
რა ღონისძიებანი უნდა იხმარონ.

* მთავრობას დაუმტკიცებია
წესდება დედათა საკომერციო სას-
წავლებლისა, რომელსაც ქ. ი. ა. ვ.
პოლიკაროვა-კოზლენკო ჰხსნის
ოღესსაში.

* სახელმწიფო ბინების გარდასა
ხადი ყოველწლივ 200,000-მდე
მანეთს თურმე მატულობს.

* ახალ-სენაკი. ამ დღებში აქ
ერთი არა ჩვეულებრივი ამბავი მო-
ხდა. სენაკის მაზრის სამმართველოს
საქმის მწარმოებელმა ვასილ ისტო-
ნინი (რუსია), რომელსაც მაზრის
შემოსავალ-გასავლის ფულები ება-
რა, კასილგან 800-მდე მანეთი მოი-
პარა და გაიქცა. დამნაშავეს აღმო-
საჩენად მაშინვე საჭირო ღონისძიება
იქმნა მიღებული. ისტონინი დაიჭი-
რეს ქ. სოხუმში. დამნაშავე სენაკში
მოიყვანეს, მაგრამ ფულები გაფე-
ლნა. ისტონინი ამ ჟამად შეპრო-
ბილია. გამოძიება სწარმოებს.

აქვთ სიმინდები უკვე მოსჭრეს,
ბა, ღმერთას იზიდას ქურუმნი მეც-
ნიერ ქიმიკოსის თვალ-წინ ბუნა-
კალად იქცევა.
* რაც უფრო არა ჩვეულებრივი და
ფანტასტიურია რომანის შინაარსი,
მით უკეთესია იგი მკითხველების
თვალში, სწერს ერთი გაზეთი. ერთს
რომანისტს სცენაზედ მარსის მცხოვ-
რებნი გამოაჩვენეს, მეორე უძველეს
სახელმწიფოს დედოფალს თანამე-
დროვე ინგლისელს აყვარებს, მესა-
მე თავის გმირს ფრთებს აბამს და
ჰაერში დააფრენს, მეოთხეს გმირი
მარტოდ-მარტო მტრის ლეგიონებს
ამარცხებს. ყველა ამას მშვენიერის
მხატვრობით ასურათებენ და მკით-
ხველს თვალ-წინ უყვენებენ ვასაო-
ცარ გმირებსაც და იმათ საგმირო
საქმეებსაც.

რასაკვირველია, ინგლისელებს
სხვა მწერალნიცა ჰყავს, ნამდვილი
ცხოვრების მხატვარნი და იმის მო-
ვლენათა აღმნიშვნელნი. მაგრამ მა-
ინც ვასაოცარია თურმე ფანტა-
სტიურ რომანების სიმრავლე. ისე
ჭურნაღს არ აიღებთ, რომ ერთი
ან ორი ამ გვარი რომანი არ იბე-
ჭდებოდეს გამუდმებით. ცალკე წი-
გნებათაც ასეთი რომანები ათასო-
ბითა და მილიონობით სალდება.
ხელს უწყობს იმათ ვასაღებას ვასა-
ოცარი სიიფე რომანებისა. ეგრედ
წოდებულს „იფუფისიან ლიტერა-
ტურას“ ეს რომანები და მოთხრო-
ბები შეადგენენ.
სიიფის გამო საზოგადოება თან-
და-თან ეჩვენა უხვირო და უაზრო
რომანების კითხვას. ინგლისში დღეს

მაგრამ შარშანდელთან შედარებით
ბევრად ნაკლებია. უბედურება და
სამწუხარო ის არის, რომ წრევან-
დელს სიმინდს ჰეპელა უჩნდება და
ამან მთელი საზოგადოება დიდს
სასოწარკვეთილებასში ჩაავდო.

* ამიერ-კავკასიის რკინის გზის
სამგზავრო და საფოსტო მატარე-
ბლების მიმოსვლა 15 ოქტომბრი-
დგან ისეა შეცვლილი, როგორც ეს
„ყოველდღიურს საქირო ცნობებ-
ში“ მოხსენებული მეოთხე გვერდ-
ზედ.

* დღეს, 20 ოქტომბერს, ავ-
ქალის სახალხო კითხვათა და წარ-
მოადგენათა სადგომში ქართულ სცე-
ნის მოყვარენი წარმოადგენენ გ-
სუნდუიანის კომედიას „ხათაბა-
ლას“.

* 18 ოქტომბერს, ტფილისის
საბჭოს კრება ხმოსანთა საკმაო
რიცხვის დაუსწრებლობისა გამო
არ შესდგა. შემდეგი სხდომა დანი-
შნულია 23 ოქტომბრისათვის. ამ
სხდომაზედ, როგორც მკითხველებ-
მა იციან, უნდა ამოირჩიონ გამგე-
ობის მეოთხე წევრი. კანდიდატებად
ასახელებენ ქალაქის სასანიტარო
სამკურნალო ინსპექტორს ბ-ნ სტე-
ფანოვსაც. კვირას, 21 ოქტომბერს,
ამ საქმის შესახებ კერძო მოლაპა-
რაკება ექნებათ ქალაქის ხმოსნებს.

* ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფრო-
სის ბრძანებით რკინის გზის ყველა დიდს
სადგურებზედ ბორჯომის წყალი ნახევარ-
ბოთლი მგზავრებისათვის ანაზად უნდა იყი-
დებოდეს, რკინის გზის მსახურთათვის სამ
შაურად.

* ძერულის სადგურიდან იწყებიან,
რომ 18 ოქტომბერს, საღამოს 7 საათ-
ზედ, წყლის კოშკის მანლობლად მდინა-
რის პირად მამრობითის სქესის ბავშვი
უპოვინათ.

* რადგანაც ქალაქის გამგეობამ ტფი-

ლისის მეორე ნაწილს უკვე დაიწყო
საქიარებლად 525 კვ. მეტრის ვაზა-
ლო, ტფილისის პოლიციის ტერმა აცნო
გუბერნატორს, ქალაქის გამგეობა აღნი-
შნულ საქმისათვის არც ქირას გვიმატებს
არც დაგვეხმარა 525 მანეთად შესადგე-
რად გვემოგვანა, და როგორ მოვიქცე-
ვართო. გუბერნატორმა ამ დღებში ამ
ქმის გამო ცნობები მოსთხოვა ქალაქ-
გამგეობას.

* ქართულ მგალობელთა გუნდის
თავით ბ-ნთ კარგარეთელსა და კავსა
განუზრახავთ დევა აუტეზონ განო
ენის ვასართბ განყოფილების გამგე-
ისიას და ერთის თვის ჯავაგირი 500
მოსთხოვონ.

საიუზილიო დღეებისა გამო

საქართველოს რუსეთთან შეფე-
რების ასის წლის იუბილეიმ მწე-
ლობაში ჩვენი ქვეყნის შესწავლო
ინტერესი დაჰბადა. ბევრი რამ და
ბეჭდა სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზე-
თებში ამ დღის მოსაგონებლად და
ბევრი აალაპარაკა ტფილისში გ-
მართულმა დღესასწაულმა. თუ დ-
უკვირდებით ნათქვამსა და ნაწე-
ამ დროის განმავლობაში, დარწმუ-
ნებით, რომ საქართველოს იმდენ
ყურადღებას არ აქცევენ, რამდ-
ნისაც იგი ღირსია. გულახდილ-
თუ ვიტყვით, ისევე ქართველებს
განმარტეს რუსულადაც, რუსის მ-
თხველებისთვის, საქართველოს მ-
შენელობა რუსეთის სახელმწიფო-
თვის. თუ არ მივიღებთ მხედველ-
ბაში „Нов. Время“-ას, სადაც ას-
წლის იუბილის გამო უძღვნა წ-
რილი საქართველოს ვ. ველიკო-
და, ვგონებთ, ამავე ავტორის წ-
რილს „Москов. Вѣдом.“-ში, ბ-
ნარჩენს რუსულს გაზეთ-ჟურნალ-
ში ან არასფერი ითქვა, ან თთ-
ვით ქართველებსაგან.

უკმაყოფილება აი სწორედ ამ
მიტეტმა გამოიწვია. ბოლოს დრ-
იგი მართლაც და მეტად უცნა-
რად იქცეოდა. კარგ პიესებს იწ-
ნებდა, უხვიროს-კი იწონებდა
თეატრში სდგამდა. იმ პიესე-
რომელსაც კომიტეტი იწუნებდა
სხვა თეატრებში საზოგადოება-
მწერლობა ალტაცებით ეგვებოდა
კომიტეტის მიერ არჩეულ და წარ-
დგენილ პიესების უმრავლესობა-
ვირო გამოდგა. არტისტები, ამ კო-
მიტეტის წევრები, უმთავრეს ყურად-
ბას პიესას, იმის შინაარსსა და ხატე-
ბას კი არ აქცევდნენ, არამედ
ლენს. რაც უნდანიჭიერად დაწერი-
ყოფილიყო პიესა, წარმოადგე-
ვერ ეღირსებოდა იგი, თუ კომი-
ტის წევრთათვის მოხერხებულ-
კარგ როლებს არ შეიცავდა. თ-
მოწონებულ პიესასაც ავტო-
ათჯერ და ოცჯერ ასწორებინდ-
ხოლომე. ამას გარდა ხშირად მო-
ნებული პიესა ხუთი და ათი წე-
წალი ეგდო, ვიდრე წარმოადგე-
ვლირსებოდა.

ყველა ამის გამო მწერლობას
საზოგადოებაში ორი-სამი წელ-
დია საყვედური გაისმის. საუკ-
სო თეატრი საფრანგეთისა და
ხებს და არა ხელს უწყობს დრ-
ტიულ ხელოვნებასაო; გაიძი-
ყველა. ბოლოს ამ საქმეს მთავ-
ბამაც მიაქცია ყურადღება. ს-
განათლების მინისტრმა ამას წ-
ბრძანება გამოსცა, რომლითაც
მოხსენებული კომიტეტი სრულ-
გაუქმებულ იქმნა. ამიერიდან

საზოგადოებისა და მთავრობის

ასე გულ-გრილად მოქცევა მწერლობის მხრივ ამ გვარ ღირს შესანიშნავ გარემოებისა გამო, როგორც მთელი სამეფოს თავის ნებით სხვა სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ თავის შეფარება, მართლაც დისალონებელი და ჩასაფქრებელია. რა არის მიზეზი მაინც ამ გაჩუმებისა? განგებ ყურის მოყრუება, თუ მართლაც უმნიშვნელო ამბავი მოხდა ამ ასის წლის წინად საქართველოს ცხოვრებაში და ამიტომ არც მოსახსენებელი იყო წარსული სექტემბრის დღესასწაული ტფილისში?.. ჩვენ გვგონია, რომ ორსავე დასახელებულს საბუთს იმიზეზებს რუსეთის მწერლობა, როცა თავის მხრივ არ მოიხსენია საქართველოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობა. რუსის მწერლობა ავლანისტანის ემირსა და მაკედონის გარემოებას გაფაციცებით თვალყურს ადევნებს და მთელი სამეფოს შეერთებას რუსეთთან კი უყურადღებოდ სტოვებს იმიტომ, რომ საქართველოს ისტორია უკვე შეწყვეტილია და მისი წარსული აწმყოთა არავის აიძულებს პოლიტიკას უღირღიტოს, სახელმწიფოებს არ აალაპარაკებს და შეუღლს არ ჩამოაგდებს, როგორც იმ შემთხვევაში, თუ ვინ გაიმარჯვებს ავლანისტანსა და მაკედონიაში, ვინსი გააღვინა დამკვიდრდება აქ და იქ. მეორეც, რუსის მწერლობის აზრით, საქართველო თუმცა შეუერთდა რუსეთს ნება ყოფილობით, მაინც ეს გარემოება გამოწვეული იყო ისტორიული პირობებითა და ამის გამო აუცილებელი იყო საქართველოს რუსეთის ფრთხილ ქვეშე შეფარება. მას შემდეგ რაც ეს იძულებული თავისუფლებით შეერთება მოხდა, საქართველოს სამეფო გახდა

რუსეთის იმპერიისათვის ერთ ორ გუბერნიათ, რომელსაც იმდენი ყურადღება უნდა მიექცეს, ამდენი საქიროსა სახელმწიფოს ინტერესისათვის. მწერლობამ განგებ მოიყრუა ყური და არ აღნიშნა ღირსშესანიშნავი საქართველოს შეერთება იმიტომ, რომ აღარად აფასებს ჩვენს ქვეყანას პოლიტიკური საზრისით, რამდენადაც ერთაშორისი პოლიტიკა თვით საქართველოს შეეხება. მოიყრუა ყური კიდევ იმიტომ, რომ სრულებით არ იცნობს აწმყო ჩვენს მდგომარეობასა და წარსულს ისტორიის: შესწავლისა და დაკვირვებისათვის კი მას არა სცალიან, ბურებისა და აღვანელ-მაკედონელთა და სხვა ამბებით არის გართული.

ასე გვესმის ჩვენ რუსეთის მწერლობის გულგრალობა. ამასვე გვარწმუნებს საზოგადოების უყურადღებობაც. ბევრმა ვერც კი გაიგო, რის გამო იყო დღესასწაული ტფილისში; ასი თუ ათი წელიწადია, რაც რუსეთთან ერთად სტოვრობს საქართველო. ამ რამდენიმე დღის წინად აქ ვ. ველიჩკის კომედიის „Нефтяной фонтан“-ისა გამო აქაურმა გაზეთმა „Рус. Слово“-მ კომედიის გმირები: არშაძე, ხმალიშვილი, „ენაზი შალიკა“ სომხებად მონათლა! აი, რამდენად კარგად გვიცნობს რუსეთის მწერლობა!..

ა. ხახანაშვილი.

ქართული თეატრი

„ჯადო სიკვარულისა“, დრამა, ვაღმოკ. ა. ნათაძის მიერ.
„დათვი“, ვაღმ. ვალსკის-მიერ.

ეს პიესები ჩვენმა არტისტებმა წარსულ ხუთშაბათს წარმოადგინეს. პირველი პიესა ძველია, იგი ქართული

თეატრში ამ ცხრა თუ ათის წლის წინად წარმოიდგენიათ. ესლანდელ საზოგადოებისათვის ახალსა და საინტერესოს ეს პიესა არაფერს წარმოადგენს, იმდენად სუსტია იგი.

რაც შეეხება წარმოდგენას, როგორც ეტყობოდა, არტისტები ცდილან კარგად მომზადებისათვის. წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა. ზოგიერთმა არტისტებმა, როგორც, მაგალითად, ქნთ ჩერქეზიშვილი და ტ. აბაშიძე, ბნთ გამყრელიძემა, შათირიშვილი და გედევანოვმა, მშვენიერად ჩაატარეს თავიანთი როლები. მთავარ როლებს ამ საღამოთი ახალგაზრდა მსახიობნი ქნი ლევადა და ბნი ვედოშვილი ასრულებდნენ. ქნმა ლევადა ბევრად უკვე შეასრულა ამ პიესაში როლი, ვიდრე წინად წარმოდგენილ პიესებში, მაგრამ მაინც ახალგაზრდა მსახიობს დიდი მეცადინეობა და დაკვირვება ჰპართებს, რომ იმისმა თამაშმა მაყურებელნი დააკმაყოფილოს. მსახიობის თამაშობას ბუნებრივობა და გრძობა აკლია; მონოლოგებს ქნი ლევადა ისე ამბობს, როგორც მოსწავლე გაკვეთილებს. სასცენო მანერებიც ვირა აქვს ჯერ შემუშავებული. ყველა ამას ახალგაზრდა მსახიობი ადვილად დასძლევს, თუ მეცადინეობასა და მხნეობას არ მოაკლებს.

დიდი მომზადება სჭირია აგრეთვე ბნი ვედოშვილსაც. იგი სცენას სრულიად შეუჩვევლია, არც სიარული ეხერხება ხეირიანად და არც მიხერა-მოხერა. თავისი როლი დებიუტანტმა ერთფეროვანად ჩაატარა; თამაშობას უსიკოცხლობა და უგულაობა ეტყობოდა, თითქმის მსახიობს ეძინებოდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბნი ვედოშვილი

ყველა ამ ნაკლს შემდეგში თავიდან აიცილენს, ჯერ-ჯერობით-კი ვურჩევთ, ვიდრე სცენას შეეჩვეოდეს, დიდ და საპასუხო როლებში გამოსვლას ერიდოს.

ვადევილიმა ბნი აბაშიძისა და ქნი კარგარელის მონაწილეობით მხიარულად ჩაიარა.

აშთაინის თეატრი

„ცხოვრება“ დრ. ორ მოქმ., ვაღ. ვ. გუნიას მიერ; „პირველი ბუზი“ კომ. 3 მოქმ., ვაღმ. ვ. გუნიას მიერ.

კვირას, 14 ოქტომბერს, ქუთაისის ქართულმა დრამატულმა დასმა ქ. ტასო აბაშიძისა და ვ. გუნიას მონაწილეობით წარმოადგინა: ორმოქმედებიანი დრამა „ცხოვრება“ (პირველად აქაურ სცენაზე) და კარგად ცნობილი კომედია „პირველი ბუზი“. ეს წარმოდგენა პირველი იყო ამ სეზონში და მშვენიერადაც ჩაიარა. დრამა „ცხოვრება“ აზრიანი პიესაა, ცხოვრების სინამდვილეს კარგად გვისურათებს, მაგრამ ამასთანავე მეტად მოსაწყენიკაა, განსაკუთრებით პირველი მოქმედება. მიუხედავად ამისა, ჩვენნი მსახიობნი ეცადნენ, რომ წარმოდგენას ცოცხლად, მწყობრად ჩაეარა. ვლ. ალექსეევ-მესხიშვილის თამაშობაზე არასვითკვით, ჩვეულებრივ მშვენიერად დაგვიხატა მრავალ-ტანჯული, ცხოვრებასთან ბრძოლით ღონე მიხდილი და სასოწარკვეთილი ლიტერატორი. მშვენიერი იყო ვ. გუნიაც თავის როლში. ამასვე ვერ ვიტყვით ქნი გვეთაძის შესახებ. მისი თამაში ყოველს ბუნებრივობას მოკლებული იყო. მიხერა-მოხერით, ხელების მტრევეთ, ტუჩების კვებითა და დიქციითაც-კი ქნი გვე-

თამე ჩვენს ნიჭიერ მხატვარს ჩხეიძეს მოგვაგონებდა; ვითომ-ცოცხელი თითოეული მოძრაობა სცენაზედ ბუნებრივია, ნამდვილი გრძობის გამოხატველი, პირველისა მხოლოდ პაროდიაა, ყოველსავე ბუნებრივობას მოკლებული. უმჯობესი იქნებოდა, ქნი გვეთაძე ნაკლებ ჰბაძოდეს სხვასა და თვითონ ეცდებოდეს საკუთარის ძალ-ღონით შეიმუშავოს სასცენო ტექნიკა.

„პირველი ბუზი“ მხიარულად და მწყობრად ჩაიარა. ეს კომედია, მართალია, „არ ახალია, ძველია“, მაგრამ ინტერესი არ დაუკარგავს, საზოგადოება მაინც სიამოვნებით ისმენს, მით უმეტეს, თუ წარმოდგენა კარგად მიდის. საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება დამსახურებს ქნი ტასო აბაშიძემა და ვ. გუნიამ თვისი საუცხოვო თამაშით. კარგი იყვნენ ბ. ბალანჩივაძე და ქ. ივანიძე დედ-მამის როლებში, ხოლო არ შეგვიძლიან ბ. ბალანჩივაძეს არ შევნიშნოთ, რომ მას ალაგ-ალაგ გადამლაშება უყვარს. ეს იმიტომ უნდა მოსდიოდეს უთუოდ, ჩემის აზრით, რომ ჰსურს მაინც-ღამაინც საზოგადოებაში სიცილი გამოიწვიოს. ამიტომ ზოგიერთჯერ სინამდვილესა ჰლაღატობს მაგ., მესამე მოქმედებაში გამოდის ძალზედ მთვრალი, ბარბაცებს, ენა ებმება, რაღასაც ლულულულებს, —სამი თუ ოთხი წუთის შემდეგ-კი სცენაზედ სრულიად ფხიზელი გამოვარდება; ფხიზელად კარგადა სდგას, ლაპარაკითაც კარგად ლაპარაკობს. როგორ მოხდა ასეთი მეტამორფოზა?

ბ. ბალანჩივაძეს უკვე დამსახურებული აქვს საზოგადოებაში ნიჭი-

სების ბედ-იღბალი, იმათი მიღება, მოწონება და დაწუნება დირექტორზე და მოკიდებული.

რადა ლაპარაკი უნდა, ეს ბრძანება თეატრის არტისტთა შორის ერთ აურ-ზაურსა და აღიიქოთს ასტეხავდა. არტისტებს მომხრენი მწერლობაშიაც გამოუჩნდნენ და ამიტომ დიდი კამათი გაიმართა. ზოგი ჰკიცხავდა მთავრობის განკარგულებას, არტისტების უფლებანი უსამართლოდ შეზღუდეს და შელახეს, გაიძახოდნენ ასინი, ზოგი კიდევ საკეთილად სცნობდა მინისტრის ბრძანებას და თეატრში მომხდარ ცვლილებას. დიდი უკმაყოფილება განაცხადეს თვით მსახიობებმა, განსაკუთრებით კომიტეტის წევრებმა, მთელს ევროპაში ცნობილმა არტისტებმა — მუნე-სიულონიმ, უმცროსმა კოკლენმა, დე-ფერანდმა, სილვენმა, ლელ უარმა, ლე ბარტიმ, პრიულონმა და ბაილიემ.

ბრძანების მიღებისას დირექტორმა ე. კლარესიმ ეს არტისტები თავის კაბინეტში დაიბარა. წაკითხვის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. პირველად ხმა კომიტეტის უფროსმა წევრმა მუნე-სიულონი ამოიღო „სხვა ხომ არაფერი აქვს სათქმელი ბნს აღმინისტრატორსაო?“ მიჰმართა იმან კლარესის. შემდეგ ყველანი კაბინეტიდან გავიდნენ. ცოტა ხანს უკან არტისტები ლელუარის ოთახში შეიკრიბნენ სათათბიროდ. პირველ ხანს არტისტებს უნდოდათ თურმე მინისტრის განკარგულება სენატში განესაჩივრებინათ. მაგრამ ამ გადა-

წყვეტილებას თავი მიანებეს და საზოგადო კრებაზედ პროტესტის გამოცხადებას დასჯერდნენ მხოლოდ. აი, პროტესტის ქალაქში რა სწერია: „ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი, პროტესტს ვაცხადებთ იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლითაც, ეიულ-კლარესის მეცადინეობით, არტისტებს პიესებს „კითხვის უფლება“ ჩამოერთვათ. მოვალეობის შესასრულებლად და ჩვენ მოადგილეთა წინაშე პასუხის-მგებლობის ასაცილებლად, ვაცხადებთ, რომ ჩვენ ამ ჟამად ვუთმობთ მხოლოდ ძალას და ამიტომ არა გვსურს დავის ატება. ამას გარდა ვაღიარებულად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ, რომ ეიულ კლარესიმ არ მიიღო მხედველობაში საფრანგეთის არტისტთა საზოგადოების არც ესლანდელი და არც მომავალი ინტერესები, თუმცა-კი ვაღიარებულ იყო ეზრუნა ამ საზოგადოებისა და იმის უფლებათა დაცვისათვის.“

ამ ქალაქს თეატრის ყველა არტისტებმა მოაწერეს ხელი.

გერმანიაში სალაპარაკო საგნად ამ ბოლოს დროს სულ სხვა რამ გადაიქცა, სახელიდობრ დუელის წინააღმდეგ მებრძოლთა კონგრესი.

არსად, მგონი, დედამიწის ზურგზედ დუელს, ხმალიში გაწვევას ისეთი პატივი არა აქვს, როგორც გერმანიაში. თავად-ახნაურობას, აფიცრობას, უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებულთ იქ დუელი და პატიოსნება ერთ ცნებად მიაჩნიათ.

ამიტომ დასახელებულ წრეებში დუელი ყველასათვის სავალდებულოდ ითვლება. ის, ვინც უარს განაცხადებს და ხმალიში არ გავა, ჰკარგავს მგობრებსა და ნაცნობებს, იმას აღარც ერთ კორპორაციასა, ფერანსა და საზოგადოებაში ადგილი აღარ მოეპოვება. როგორც კეთროვანს, ისე ერიდებიან ყველანი ამ გვარ კაცს. ხშირია დუელი სტუდენტობაში. კორპორაციების წესდების ძალით სტუდენტი ვალდებული-ც-კია ერთხელ მაინც გავიდეს ხმალიში. ბევრი შემთხვევა ვიცი, სწერს რუსულის გაზეთის კორესპონდენტი, როდესაც სტუდენტს სრულიად უმიზეზოდ გაუწვევია დუელში უცნობი კაცი. კანდიერად რად შემომხედეთო, შეუთვალა ერთმა სტუდენტმა რესტორანში მჯდომ სრულიად უცნობ კაცს და ხმალიში გაიწვია იგი. ამავ კორესპონდენტის სიტყვით, იშვიათად შეჰხედება კაცი სამხედროთა შორის ისეთს, რომელსაც ან ყური არა ჰქონდეს ჩამოთლილი, ან სახეს სხვა ჭრილობა არ უმშვენიებდეს.

ასეთის პატივის მიუხედავად, დუელს მოწინააღმდეგენი გერმანიაშიაც აღმოუჩნდნენ. კარგა ხანია აგიტაცია დუელის წინააღმდეგ პარლამენტსა, საზოგადოებასა და მწერლობაში. პარლამენტში დუელზედ ლაპარაკს თითქმის ყოველ წელიწადს ჩამოაგდებენ ხოლმე. შარშანს ხამთარს, მაგალითად, რამდენიმე სხდომა რეისტაგმა ამ საქმეს მოანდომა. ბებელი და უკიდურეს მე-

მემარცხენეთა სხვა დებუტანნი სასტიკად ჰკიცხავდნენ ამ ბარბაროსულ ჩვეულებას. წელს დუელის წინააღმდეგ აგიტაცია უფრო გაძლიურდა. ამ საქმეში ისეთებმა-ც-კი მიიღეს მონაწილეობა, რომელნიც წინდ თავი-და-თავი მომხრენი იყვნენ დუელისა — უმაღლესმა არისტოკრატამ, სამსახურს გარეშე მყოფმა აფიცრებმა, პროფესორებმა, მკურნალებმა, იურისტებმა. შესდგა განსაკუთრებული საზოგადოება თავად ლევენსტინ-ვერტემი — როზენბერგის მეთაურობით. ძალიან ბევრნი მიეგებნენ ამ საზოგადოებას თანაგრძობით. საზოგადოებაში უკვე 921 წევრი ითვლება. აქედან 116 თავად-ახნაურია, 160 ვექილი, 137 მკურნალი, 35 პროფესორი და მასწავლებელი. ყოველ დღე ახალ-ახალი წევრები ემატება საზოგადოებას. ამას წინად გერმანიის კათოლიკეთა კრება მოხდა. კრებამ ერთხმად დაადგინა მონაწილეობა მიიღოს დუელის წინააღმდეგ ბრძოლაში და ხელი შეუწყოს ამ მავნე ჩვეულების აღმოფხვრას.

ასეთის თანაგრძობით გამხნეებულმა საზოგადოებამ ლეიპციგში კონგრესიც მოახდინა ამას წინად. დიდძალი ხალხი დაესწრო ამ კონგრესს. მოხსენება ბევრმა წაკითხა. ყველა ორატორმა სასტიკად გაჰკიცხა დუელი. კონგრესმა საქმის წარსამატებლად განსაკუთრებული კომიტეტი აარჩია, რომლის წევრებდაც ცნობილი საპოლიტიკო და საზოგადო მოღვაწენი არიან.

დასასრულ ერთი პატარა ამბავიც. ესპანიაში ერთ ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა შორის ნამდვილი ომი ატეხილა. ქალაქს სახელად ბეხასი ჰქვია, ხოლო სოფელს — კანდელიარიო. სოფელიცებს თავიანთ მინდორში გადაუგდიათ წყალი იმ რუდგან, საიდგანაც ბეხასის მინდორები ირწყვებოდა. ბრძოლა ამის გამო ატეხილა. როდესაც ბეხასელებს ეს ამბავი გაუგიათ, სათათბიროდ მოედანზედ შეკრებილან. ხანგრძლივის სჯა-კამათს შემდეგ 2000 ბეხასელი, თოფებითა, ხმლებით და კეტებით შეიარაღებული, კანდელიარიოსკენ გასდგომია გაზას. ადგილობრივ მოხელეებს ვერაფერი გაუწყვიათ. ტელეგრაფი გაუქვებულ იყოფილა და ამ მიზეზით ვერც ჯარი დაეხარებიათ. მალე სოფლიდგან თოფების სროლის ხმა მოისმა თურმე. აქა-იქ ფერმების თვის ცეცხლიც წაუკიდებიათ. ამ შეტაკების დროს ხუთი კაცი მოუკლავთ და ასზედ მეტი დაუჭრაოთ. ბრძოლა მაშინ გათავებულია მხოლოდ, როდესაც ჯარი მისულა ბრძოლის ველზედ.

ეტყობა, ესპანელები არა სჯერდებიან მთავრობის სისასტიკესა და იეზუიტების ბატონობას: თვითონაც სცდილობენ ერთ-ერთის ანოკლესასა და დწიოკებას.

რი კომიკის სახელი და ამისთანა იაფი ეფექტები მის რეპუტაციას ავნებს. ბ. დ. ჩარკვიანმა კარგად დაგვიხატა ქარაფშუტა, მოკეიფე ახალგაზრდა მათე ლლონტაძე. ქ. გვე თამბ კომედიაში გვარიანად ასრულა თვისი პატარა როლი. დანარჩენნი მოთამაშენიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებათ დაესწრო, პარტერი და ლოჯები თითქმის სულ ცალიერი იყო. როგორც ამ წარმოდგენამ დაგვიანხვა, ჩვენი მსახიობნი ჯერ-ჯერობით ღირსნი არ არიან ასეთი გულ-გრილობისა. სიანს, მათ მუყაითად მოუკიდნიათ ხელი საქმისათვის.

ამ სეზონის რეპერტუარი შესდგება თითქმის სულ ახალი პიესებისგან, რომელთა შორისაც უნდა აღვნიშნოთ დრამები იბსენისა, პაუპტმანისა, ზუდერმანისა, ჩეხოვისა და სხ. თუ რეპერტუარში მოხსენებულ პიესების ნახევარი მაინც წავიდა წელს, ჩვენი დასი სრული მაღლობის ღირსი იქნება, რადგანაც დაძველებულმა რეპერტუარმა დიდი ხანია თავი მოგვაწყინა და მისი განახლება აუცილებლად საქირო იყო. ვუსურვებთ ჩვენს მსახიობებს მეტის ენერგიით მოაქიდებოდნენ საქმესა და საზოგადოების ყურადღება დაემსახურებინათ.

H. Novus.

მეღვინე-მეფინახეთა ქრება.

19 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში, კავკასიის მეღვინე-მეფინახეთა კრებაზე წაკითხულ იქნა სამი მოხსენება. პირველად მოხსენება წაიკითხა ბ. ნ. ტუსკავემა თერგის ოლქის მეღვინეობისა და მეფინახეობის შესახებ. ტუსკავეი შეეხა თერგის ოლქში ღვინის ვაჭრობის საქმის მოწყობასაც.

შემდეგ ბ. ნ. მორგემა წაიკითხა მოხსენება ღვინის ბაზრის გაჩენის შესახებ. დასასრულ ბ. ნ. ტიმოფეევმა მოიყვანა საყურადღებო ცნობები კავკასიის მეფინახე-მეღვინეობის შესახებ. მოხსენებელის გამოანგარიშებით, მარტო კახეთი 3 მილიონ ვედრა ღვინოს ამზადებს. ასეთივე ცნობები მოიყვანა ქუთაისის გუბერნიისა, ერევნისა, ვანჯისა და სხ. ადგილების შესახებ. ვრცელ მოხსენების კითხვას ბ. ნ. ტიმოფეევი თითქმის ერთი საათი მოუხდა. რადგანაც დაგვიანდა, ამ სხდომამდე დაწვრილებით არც ერთი მოხსენება არ განუხილავთ. ეს საქმე სხვა სხდომისათვის გადასდეს.

დეტემა

(„რუსეთის დეტემა სააგენტოსაგან“).

18 ოქტომბერი.

კამბარბუზი. დაბრუნდნენ პეტერბურგში ფინანსთა და მიწა-მოქმედების მინისტრები.

10 ოქტომბერს, 1876 წლის სერბია-ოსმალეთის ომის ჯუნისის ბრძოლიდან 25 წლის შესრულების სასხოვრად, ამ ბრძოლაში მონაწილეთ პანაშვიდი გარდაიხადეს

იმპერატორის ალექსანდრე II და ალექსანდრე III, სერბიის მეფის მილან ობრენოვიჩის, სერბიის ჯარის მთავარ-სარდლის გენერალ ჩერნიავის და სხვათა სულის მოსახსენებლად.

ბათუმი. ჩვენს გიმნაზიის ცუდი დრო დაუდგა, არა ჰყავს მათემატიკისა, ფიზიკისა და კოსმოგრაფიის მასწავლებელი. მისში გარდაიცვალა მასწავლებელი პისარევესკი, მას შემდეგ იმის სამაგიერო არ მოუწვევიან. არის დღეები, როდესაც მოსწავლეებს ერთი გაკვეთილი აქვთ. მე-8-კლასის მოსწავლენიკი, რომელთაც სპეციალურ საგანად მათემატიკა აქვთ არჩეული, სრულიად უსაქმოდ არიან. დიდ ხანს გასტანს თუ არა ასეთი მდგომარეობა, არავინ უწყის.

ბათუმი. ყაჩაღი ირაკლი თავართქილაძე, რომელმაც რკინის გზის მატარებელში მეთრეველ კულაკოვი გაძარცვა და დასჯა, და რომელმაც მოკლა პოლიციელი, შეიპყრეს გუშინ სალამათი ბათუმში. შეპყრობის დროს თავართქილაძე დაჭრილ იქნა.

ვაკშაბა. ადგილობრივმა ვაჭრებმა განიზრახეს დაარსონ ურთერთ დაშლევვი საზოგადოება, რადგანაც დაშლევვი საზოგადოებანი, უკანასკვლ დროს დიდის ზარალის გამო, აძნელებენ დაზღვევას. — არცის სახდელმა ქარხნის პატრონებმა შუამდგომლობა აღძრეს ვაკშაბის საპოლიტენიკო ინსტიტუტთან მეღვინეობის სპეციალურ კურსების დაარსების შესახებ. ეს საქმე განსახილველად რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის დამხმარებელ საზოგადოების ვაკშაბის განყოფილებას გარდაცა.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დისკონტს 3/0-დგან 4/0-მდე აუწია.

პარიზი. აღმირალ კალიარს დღეს გაუგზავნიან ინსტრუქციას იმის შესახებ, თუ საზღვაო დემონსტრაცია ოსმალეთში რომელს ადგილს უნდა მოახდინოს იმ შემთხვევაში, თუ სულთანმა საფრანგეთის სურვილს არ შეისრულებს. ყველაფერს საიდუმლოდ ინახავენ.

ბონიფაციი. ხმელთა შუა ზღვის ესკადრას აღლუმები აქვს ზღვაში. აღლუმებს შემდეგ ესკადრა საღენსა და ხიერში დაბრუნდება. რაც შეეხება იმ საზღვაო დივიზიას, რომელმაც აღმირალი კალიარი უფროსობს, მას ბრძანება მიუვიდა ინსტრუქციებს დაუცადოს, რომლის ძალითაც შეიძლება იგი განშორდეს მთავარს ესკადრას და ოსმალეთის წყლებისაკენ გაემართოს.

პარიზი. ჯავშნიანი გემი, სამი კრესერი და ორი ნადმების საწინააღმდეგო გემი გაშორდნენ ხმელთა შუა ზღვის ესკადრას და აღმოსავლეთის წყლებისაკენ გაემართნენ.

პარიზი. ხმელთა შუა ესკადრა გუშინ ტულონიდან გავიდა აღლუმისათვის. როგორც ვახუთები სწერენ, ერთი დივიზია განშორდა ესკადრას აღმოსავლეთში დემონსტრაციის მოსახდენად. „Figaro“-ს სიტყვით, იგი ორის კრესერისა და სამის ჯავშნიანი გემისაგან შესდგება. ზედ 2000 ჯარის-კაცია ნა-

პირზედ გადასახმელად. უნდა გადასხან მეტილენეში. ამბობენ, რომ კონტრ-ადმირალმა კალიარმა ბრძანება მიიღო, თუ საფრანგეთი დაკმყოფილებული არ იქმნება, დაიჭიროს იმ ნავთსადგურის დამოქნა, რომლის წინაც ესკადრა გაჩერდება.

19 ოქტომბერი

კამბარბუზი. შავის ქირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს: „კავკასის მთავარ მართებელი 15, 16 და 17 ოქტომბრის თარიღით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ 14 ოქტომბერს ბათუმში მოკვდა ერთი ადგილობრივი მცხოვრები, რომელსაც შავის ქირის საექვო ნიშნები აღმოაჩნდა. შემდეგ ერთი ავადმყოფი კიდევ აღმოჩნდა, რომელიც ავად 9 ოქტომბერს გახდა. ამ კაცს ფერდების ჯირკვლები დაუსივდა, და დროგამომდებელით სიცხეს აძლევდა; იგი ზემოდ-ხსენებულ გარდაცვალებულ კაცს არ შეჰხვდებოდა. ამ შემად ავადმყოფი რჩება. გარდაცვალებული არასოდეს არ გასულა ბათუმიდან და სცხოვრობდა ოჯახში, რომელსაც არავითარი მისვლა-მოსვლა არა ჰქონდა შავის ქირით საექვო ადგილებთან. ზემოხსენებული ავადმყოფი, ისინი, ვინც იმასა და გარდაცვალებულს ჰხვდებოდნენ, მოთავსებულ იქნენ ცალკე სადგომში; სახლებს დეზინფექცია უყვეს და შესაფერი სასანიტარო ზომები მიიღეს. როდესაც ტფილისიდან ბათუმში გაგზავნილმა ბაქტერიოლოგმა გარდაცვალებულის გვამი გამოიკვლია, აღმოჩნდა, რომ ამ კაცსაც ფერდების ჯირკვლები ჰქონია დასიებული, მაგრამ არც ტყირაში, არც ჯირკვლებში არ აღმოასნდა იერსენის ჩხირები. საგანგებოდ ბაცილების მოშენებას შეუდგნენ და თავებს აუცრეს. თუმცა ჯერ-ჯერობით საბუთი არ არის იმისა, რომ ავადმყოფობა შავი ქირია, მაგრამ მაინც სიფრთხილისათვის უმაღლესად დამტკიცებულმა კომისიამ მთავარ-მართებლის განკარგულებათა გარდა დაადგინა: გასინჯულ იქნან ხოლმე მკურნალთა მიერ ყველა გემები როგორც ბათუმში, ისე შავის ზღვის სხვა ნავთსადგურებში შესვლისას, რისთვისაც გამრავლებულ უნდა იქნას მკურნალთა რიცხვი, მიეცეთ მათ სამკურნალო და სადენინფექციო წამლები; თვალყური უნდა ედევნოს ბათუმიდან რკინის გზით წასულებს; მიეცეთ ადგილობრივ მკურნალებს იერსენის სითხე და ხავჯინის ლიმფა; დაიწყოს მოქმედება ბათუმში სასანიტარო აღმასრულებელმა კომისიამ ყველა საქირო ზომების მისაღებად“.

ნიშენი-ნოვგოროდლი. საბჭომ დაადგინა ნოქრები და სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა მოსახსურენი მუშაობისაგან თავისუფალი იყვნენ ხოლმე დღესასწაულებში; ეს დადგენილება იარმარკის დროს არ შეეხება.

ტულონი. ჯავშნიანი გემები „Daulois“, „charlemaque“ ჯავშნიანი კრესერები „Bothau“ და „chanz“ და სამი მომცრო გემი გამოსცალკევდნენ ხმელთა-შუა ზღვის ესკადრას და აღმოსავლეთისკენ გაემართნენ. მიდიან — ამის შესახებ არაფერს ამბობენ.

პარიზი. გარემე სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტი ხსიუიუ-პენგი გარ-

დაიცვალა. ლიხუნჩანგი მიიმე ავადმყოფი შეიქმნა. პრინცი კინგი კაიფენგში წავიდა ზოგდინხანის სანახავად.

ტულონი. ესკადრის ყველა გემები სალამოს უკან დაბრუნდნენ. გემები თავ-თავიანთ ადგილას გაჩერდნენ.

პენა. დილის 7 საათს და 30 წ. იმპერატორი ფრანკ-იოსები მოვიდა „ოტელბრისტონში“, სადაც გამოსათხოვად უკვე მისულიყო ერცერკოგი იოსები. მისი უდიდებულესობა მიიღო დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ და შეიყვანა შიდა ოთახებში, სადაც ნახევარი საათი გაატარა. 7 საათს 45 წუთს წავიდნენ რკინის გზის სადგურისკენ, სადაც იმპერატორი და დიდი მთავარს გულითადად გამოეთხოვნენ ერთმანეთს და სამჯერ გადაჰკოცნეს ერთი-მეორეს. 8 ს. დიდი მთავარი ამალით ვენაში გაემგზავრა.

პიეზი. ბოროტ-გამძრახველებს კიევში საფოსტო ყუთებიდან წერილები უპარიათ იმ აზრით, რომ წერილებს მარკა დააძრონ.

ლონდონი. ყოველ-დღიური სამკურნალო ჟურნალი აცხადებს, რომ ცნობები მეფის ჯანმრთელობის შესახებ ყოველსავე სიმართლეს მოკლებულიაო. მეფე კარგად არის და არც ოპერაცია უქნიათ იმისთვის.

ბერლინი. გააგაში დღეს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდათ ბურებს დელგაცებს ლეიდას და ვან-ბემოტენს.

შაზანი. დასრულდა ეგზამენები სამკურნალო აღმასრულებელ კომისიაში. თხოვნა შეიტანა 109 კაცმა, ამათგან 25 კაცი უცხო სახელმწიფოთა უნივერსიტეტების დოქტორია. ეგზამენები დაიჭირეს: 45 საუკეთესოდ, 47 მკურნალის ხარისხით და 16 მკურნალი ქალია; ერთმა ავადმყოფობის გამო ეგზამენები არ დაიჭირა.

ქოველ-დღიური სახირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ — პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდან ბათუმში:

ფოსტის მატარებელი № 3 სალამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა სალამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დილის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩავა სალამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარსკეობით, დილის 2 ს. 32 წ. 3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩავა დილის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩავა დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 სალამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩავა დილის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდან შარში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 სალამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.), შარში ჩავა დღით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 დამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩავა დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.), ტფილისში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქო-ბათუმი ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩავა დილის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 დამის 12 ს. 2 წ. (1 ს.) ტფილისში დამის, სალამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში დამის დამის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 დამის 50 წ. (2 ს. 48 წ.), ტფილისში შარში დილის 6 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

შარშიდან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დამის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩავა დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 24 ოქტომბერს შუადღის თორმეტ საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა ქალაქის მე-4 ნაწილში კოსიის ვიწრო ქუჩის მოკირწყლის საქმე. სიგრძით ქუჩის 113,36 ოთხ-კუთხი საჩენია. იჯარა 700 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე 9-დან 3 საათამდე. (3—ნ.—1)

ღირსმშენილი

უმაღლეს იმპერატორებრივს ჯილდოსი

ფოტოგრაფია

ა. ს. როინაშვილის

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოებისა.“

მოწვეულია ახალი გამგე ფოტოგრაფიისა. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარი ფოტოგრაფიული სურათისა, რომელიც თავის დროზე და გულმოდგინებით მზადდება. ფასები ყველასთვის ხელ-მისაწვდენია მოსწავლეთათვის შეღავათიანი.

ფოტოგრაფია გადებულია დილის 9 საათიდან სალამოს 5 საათამდე. ფოტოგრაფიის მრავლად მოკვება მუშტართათვის საქართველო და კავკასიის შესანიშნავის ადგილების ტიპების და ძეგლების სურათები.

(3—უ—2)